შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესი

თანამშრომელთა საპენსიო დაზღვევა და უზრუნველყოფა

სარჩევი

განაყოფი 1 ზოგადი დებულებანი

მუხლი 1 ტერმინთა განმარტებები
მუხლი 2 საპენსიო სქემის სახელწოდება და დამფუძნებელი
მუხლი 3 დაფინანსება
მუხლი 4 საინვესტიციო პოლიტიკა

განაყოფი 2 საპენსიო სქემის მართვა

მუხლი 5 საპენსიო სქემის მმართველი ორგანო
მუხლი 6 ფინანსური მართვის მექანიზმები
მუხლი 7 საპენსიო სქემის აქტივების მართვა

განაყოფი 3 საპენსიო სქემის სახე და სქემაში მონაწილეობის წესები

მუხლი 8 საპენსიო სქემის სახე
მუხლი 9 არასახელმწიფო პენსიის სახეები
მუხლი 10 საპენსიო სქემაში მონაწილეთა ჩართვის პირობები
მუხლი 11 საპენსიო შენატანები და მათი გადახდის წესი
მუხლი 12 საპენსიო დანაგროვის ფონდი
მუხლი 13 საპენსიო დანაგროვის ინვესტირება
მუხლი 14 საინვესტიციო მოგების განაწილების წესი
მუხლი 15 საპენსიო ასაკისა და პენსიის ოდენობის განსაზღვრის პირობები
მუხლი 16 პენსიის გაცემის პირობები
მუხლი 17 არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მონაწილის გასვლა
მუხლი 18 არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მონაწილის სხვა სქემაში გადასვლა
მუხლი 19 საპენსიო სქემის მონაწილის სახელობით საპენსიო დანაგროვზე საკუთრების უფლების და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლება
მუხლი 20 საპენსიო სქემის დამფუძნებლის და მონაწილის სხვა უფლებები და მოვალეობები
მუხლი 21 საპენსიო სქემაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
მუხლი 22 საპენსიო სქემის შეწყვეტა და თანმდევი შედეგები
მუხლი 23 საპენსიო სქემის მონაწილის ინფორმაციით უზრუნველყოფა

დანართი 1 საკომისიო ანარიცხები

განაყოფი 1 ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 **არასახელმწიფო საპენსიო სქემა (შემდგომ - საპენსიო სქემა)** - არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის მოქმედი კანონმდებლობით და სახელშეკრულებო საფუძველზე მოწესრიგებული ურთიერთობების სისტემა.

1.2 **დამფუძნებელი** - შპს „საქაერონავიგაცია“, საპენსიო სქემის დამფუძნებელი, რომელიც მოქმედებს მონაწილეთა არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის მომსახურების მიზნით და უზრუნველყოფს მონაწილეებს არასახელმწიფო პენსიით.

1.3 **საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში სამეთვალყურეო საბჭო)** - საპენსიო სქემის მმართველობითი ორგანო, რომელიც ზედამხედველობს მონაწილეთა არასახელმწიფო პენსიებით უზრუნველყოფას და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იცავს მონაწილეთა ინტერესებს.

1.4 **აქტივების მმართველი კომპანია** - კომერციული ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს საპენსიო დანაგროვთა მართვასა და ინვესტირებას შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

1.5 **მონაწილე** - საპენსიო სქემის მონაწილე, ფიზიკური პირი რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება საპენსიო შენატანები შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ და რომლის სასარგებლოდაც გაიცემა პენსია მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე საპენსიო სქემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

1.6 **მეანაბრე** - შპს „საქაერონავიგაცია“ და შპს „საქაერონავიგაციის“ დასაქმებული რომელიც, საპენსიო სქემით დადგენილი პირობების შესაბამისად, იხდის საპენსიო შენატანებს საპენსიო სქემის მონაწილის სასარგებლოდ.

1.7 **პენსია** - მონაწილის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით, საპენსიო სქემის წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, დამფუძნებლის მიერ შესასრულებელი ფულადი ვალდებულება, რომელიც სრულდება სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისაგან დამოუკიდებლად.

1.8 **საპენსიო სქემის წესი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამფუძნებლის მიერ ჩამოყალიბებული საპენსიო სქემის მომწესრიგებელი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ამ სქემის ფარგლებში წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს.

1.9 **დამსაქმებელი** - შპს „საქაერონავიგაცია“, რომელსაც მონაწილესთან აკავშირებს შრომითი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის საფუძველზე ახორციელებს მეანაბრის ფუნქციას მისი დასაქმებულის, როგორც მონაწილის სასარგებლოდ.

1.10 **საპენსიო შენატანი** - მონაწილეთა არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით, საპენსიო სქემით დადგენილი წესის შესაბამისად, მეანაბრის მიერ გადასახდელი თანხა.

1.11 **საპენსიო დანაგროვი** - მონაწილის ან მონაწილეთა სახელობით საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული სახსრები.

1.12 **საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივი** - საპენსიო დანაგროვთა დასაფარავად (საინვესტიციოდ) დასაშვები აქტივები.

1.13 **სახელობითი საპენსიო ანგარიში** - საპენსიო სახსრების მოძრაობის აღრიცხვის ფორმა.

1.14 **საინვესტიციო მოგება** - საპენსიო დანაგროვის აქტივების მართვის შედეგად მიღებული

საინვეტიციო შემოსავალი.

1.15 **საპენსიო სქემის სახე** - დამფუძნებლის პროფესიული საპენსიო სქემა, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები წინამდებარე სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1.16 **მუდმივი პენსია** - – პენსიის – სახე, როდესაც მონაწილეს პენსია ეძლევა პენსიის გაცემის დაწყებიდან გარდაცვალებამდე.

1.17 **განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია** - პენსიის სახე, როდესაც მონაწილეს პენსია ეძლევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის (არანაკლებ ხუთი წლის) განმავლობაში.

1.18 **ერთობლივი პენსია** - მუდმივი პენსია, რომელიც ერთობლივად ეძლევა საპენსიო სქემის მონაწილესა და მის მეუღლეს[1].

1.19 **პაი** - პირობითი ერთეულოვანი შენატანი, რომელიც გამოიყენება მონაწილის დანაგროვის, სქემის აქტივებში წილობრივი მონაწილეობის განსასაზღვრად;

1.20 **ხელშეკრულება** - ინდივიდუალური შეთანხმება არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც იდება სქემის დამფუძნებლსა და სქემის მონაწილეს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ხელშეკრულების თანახმად, დამფუძნებელი, საპენსიო სქემის წესისა და ინდივიდუალური შეთანხმების შესაბამისად, იღებს მონაწილის არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებას, ხოლო მეანაბრე - საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულებას.

მუხლი 2. საპენსიო სქემის სახელწოდება და დამფუძნებელი

2.1 სქემის სახელწოდება - „შპს საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემა“. დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობებში საპენსიო სქემის მოხსენიება შემოკლებული სახელწოდებით ან აბრევიატურის სახით, როგორც ქართული (საქპენსია) ისე ლათინური (SAKA-DCPF) შრიფტით.

2.2 საპენსიო სქემის დამფუძნებელია შპს „საქაერონავიგაცია“, ქ.თბილისი, აეროპორტი 0198, საიდენტიფიკაციო კოდი 208144051, სს „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი REPLGE22, ა.ა. GE69BR0000000005467067 GEL.

მუხლი 3. დაფინანსება

3.1. საპენსიო სქემის შემოსავლები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

3.1.1. საპენსიო შენატანები;

3.1.1.1. შპს “საქაერონავიგაციის” დასაქმებულის საპენსიო შენატანები

3.1.1.2. შპს “საქაერონავიგაციის” საპენსიო შენატანები

3.1.2. საპენსიო სქემის რეზერვების ინვესტირებიდან მიღებული შემოსავალი;

3.1.3. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

---

[1] ტერმინი „მეუღლე“ გულისხმობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგიტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს

მუხლი 4. საინვესტიციო პოლიტიკა

4.1. დამფუძნებელის საინვესტიციო პოლიტიკა შემუშავებული იქნება აქტივების დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის პრინციპების საფუძველზე და კანონმდებლობის სრული დაცვით, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს დამფუძნებლის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

4.2. საინვესტიციო პოლიტიკა აქტივების მმართველ კომპანიებთან შეთანხმებით ყოველ წლიურად აისახება „საინვესტიციო სტრატეგიის“ დოკუმენტში.

განაყოფი 2 საპენსიო სქემის მართვა

მუხლი 5. საპენსიო სქემის მმართველი ორგანო

საპენსიო სქემის მმართველი ორგანო არის „შპს საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ სამეთვალყურეო საბჭო, რომლის არჩევის წესი, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და კომპეტენცია განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. ფინანსური მართვის მექანიზმები

6.1. საპენსიო სქემის ფინანსური მართვის მექანიზმები ასახული იქნება საპენსიო სქემის ფინანსური მართვის სახელმძღვანელოში.

6.2. საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და ექვემდებარება წლიურ აუდიტს.

მუხლი 7. საპენსიო სქემის აქტივების მართვა

7.1. საპენსიო დანაგროვთა ინვესტირებას ახორციელებს(ბენ) მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე აქტივების მმართველი კომპანია(ები), საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივების მართვის შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

7.2. აქტივების მმართველი კომპანია საქმიანობას ახორციელებს საპენსიო სქემის დამფუძნებლის სახელით.

7.3. აქტივების მმართველი კომპანია არ შეიძლება იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის, მეანაბრისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის აფილირებული პირი ან თვით დამფუძნებელი ან სპეციალიზებული დეპოზიტარი.

7.4. დამფუძნებელი თვითონ ირჩევს საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივების მმართველ ერთ ან რამდენიმე კომპანიას. მას უფლება აქვს, რამდენიმე კომპანიასთან ერთდროულად დადოს ხელშეკრულება აქტივების მართვის შესახებ.

7.5. აქტივების მმართველ კომპანიას საპენსიო დანაგროვი გადაეცემა ფულადი ფორმით.

7.6. აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია აქტივების მართვის პროცესში საპენსიო დანაგროვების ინვესტირება განახორციელოს მხოლოდ სპეციალიზებული დეპოზიტარის მეშვეობით.

7.7. სპეციალიზებული დეპოზიტარი, არ შეიძლება იყოს აფილირებული პირი:

7.7.1. საპენსიო სქემის დამფუძნებლისა;

7.7.2. მეანაბრისა;

7.7.3. აქტივების მმართველი კომპანიისა, რომელთანაც დამფუძნებელს დადებული აქვს ხელშეკრულება.

7.8. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია მიიღოს და შეინახოს საპენსიო დანაგროვის შესაბამისი აქტივები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.9. სპეციალიზებულ დეპოზიტარს არჩევს და მასთან ხელშეკრულებას დებს აქტივების მმართველი კომპანია (ან, თავად დამფუძნებელი აქტივების მმართველ კომპანიასთან ერთად) საპენსიო სქემის დამფუძნებელთან შეთანხმებით. ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ დეპოზიტართან.

7.10. ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომლებიც საპენსიო დანაგროვის შესაბამის აქტივს წარმოადგენს და სადეპოზიტო ხელშეკრულებით სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის არის გადაცემული, მის საკუთრებაში არ გადადის.

7.11. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია:

7.11.1. განახორციელოს ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის ნომინალური მფლობელის ფუნქცია;

7.11.2. განახორციელოს საპენსიო დანაგროვის აღრიცხვა დეპოზიტარისა და მასთან ხელშეკრულებაში მყოფი სხვა პირების კუთვნილი ქონებისგან განცალკევებით;

7.12. აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის ანაზღაურება განისაზღვრება მათთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

განაყოფი 3 საპენსიო სქემის სახე და სქემაში მონაწილეობის წესები

მუხლი 8. საპენსიო სქემის სახე

„შპს საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემა“ წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები წინამდებარე სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 9. არასახელმწიფო პენსიის სახეები

9.1. მონაწილისათვის გასაცემი პენსია მისი გაცემის წესისა და ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს:

9.1.1. **მუდმივი პენსია,** რომელიც მონაწილეს ეძლევა პენსიის გაცემის დაწყებიდან

გარდაცვალებამდე მთელი პერიოდის განმავლობაში;

9.1.2. **განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია,** რომელიც მონაწილეს ეძლევა წინასწარ შეთანხმებული ვადის (არანაკლებ ხუთი წლის) განმავლობაში.

9.2. **განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია** არის პენსიის გაცემის განსაზღვრული სახეობა, როდესაც წინასწარ დადგენილია დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სქემის მონაწილე დამფუძნებლისაგან განსაზღვრული პერიოდულობით მიიღებს პენსიას. ვადის დასრულებისთანავე, საპენსიო სქემის წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, მთავრდება შესაბამისი პირის მონაწილეობა საპენსიო სქემაში. პენსიის გაცემის პერიოდში მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, დარჩენილი პენსიის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, საპენსიო სქემით განსაზღვრული წესის შესაბამისად. განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსიის მაქსიმალური ვადა დგინდება დამფუძნებლის მიერ ყოველწლიურად, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს პენსიის ოდენობასა და მონაწილის პენსიით უზრუნველყოფის სხვა საკითხებზე.

9.3. მონაწილესა და დამფუძნებელს შორის არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, მონაწილეს, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ, შესაძლებელია, დამფუძნებლისაგან მიეცეს მონაწილის სახელობით საპენსიო ანგარიშზე აკუმულირებული მთლიანი საპენსიო დანაგროვის ნაწილი, მაგრამ არაუმეტეს დანაგროვის 30 (ოცდაათი) %-ისა პირველ ჯერად გასაცემი პენსიის სახით, კონკრეტული შეთანხმების პირობების შესაბამისად. დარჩენილი თანხით მონაწილე განაგრძობს სქემაში მონაწილეობას მუდმივი ან განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსიის მიღების უფლებით, საერთო წესის შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი პენსიის სახე აქვს არჩეული.

9.4. პენსიის სახის არჩევა ხდება შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე. დამფუძნებელსა და მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება პენსიის გაცემის წესი და პირობები.

9.5. წერილობითი განცხადების საფუძველზე მონაწილე უფლებამოსილია მოითხოვოს მის სასარგებლოდ პენსიის გაცემის თარიღის გადავადება მის მიერ ამავე განცხადებით განსაზღვრული ვადით. ამ მუხლით განსაზღვრული უფლებით სარგებლობა დასაშვებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

9.6. მონაწილე უფლებამოსილია, ამ მუხლის 9.1.1 და 9.1.2 პუნქტებით განსაზღვრული და მის მიერ შერჩეული პენსიის ერთი სახე შეცვალოს იმავე პუნქტით განსაზღვრული სხვა სახით ყოველწლიურად - პენსიის გაცემის დაწყებამდე 12 (თორმეტი) თვით ადრე.

9.7. მუდმივი პენსია შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი.

9.8. ერთობლივი პენსია მიეცემა საპენსიო სქემის წევრ მეუღლეებს პენსიის გაცემის დაწყებიდან, რაც აითვლება სქემაში უშუალოდ გაწევრიანებული მონაწილის მიერ საერთო წესით პენსიის მიღების დაწყების მომენტიდან ორივე მეუღლის გარდაცვალებამდე.

9.9. ერთობლივი პენსიის პირობის გამოყენებისას ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ამ პენსიის ნახევარი მიეცემა მეორე მეუღლეს.

9.10. წინამდებარე საპენსიო წესის სხვა დებულებების (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება 9.9 პუნქტით) გათვალისწინებით, ერთობლივი პენსიის პირობის გამოყენებისას, თითოეული მეუღლე სარგებლობს სოლიდარული კრედიტორის

სტატუსით (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) და უფლებამოსილია მოითხოვოს ნახევარი პენსია, ხოლო დამფუძნებელი ვალდებულია ამგვარად გასცეს პენსია ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით.

9.11. მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში, თითოეულ ყოფილ მეუღლეს უფლება აქვს მიიღოს ერთობლივი პენსიის ნახევარი.

9.12. მეუღლეები ან ერთ-ერთი მეუღლე ვალდებულია წარუდგინოს დამფუძნებელს განქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის წარდგენამდე დამფუძნებელი ერთობლივ პენსიას გასცემს საერთო წესით.

9.13. ერთობლივი პენსია არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული შესაბამის ხელშეკრულებაში.

მუხლი 10. საპენსიო სქემაში მონაწილეთა ჩართვის პირობები

10.1. საპენსიო სქემის მონაწილე შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არანაკლებ 24 კალენდარული თვის განმავლობაში იმყოფება შრომით ურთიერთობაში შპს „საქაერონავიგაციასთან“.

10.2. მონაწილეთა საპენსიო დაზღვევა და უზრუნველყოფა ხორციელდება „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, საპენსიო სქემის პირობებისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხელშეკრულების საფუძველზე.

10.3. მონაწილე ითვლება საპენსიო სქემაში ჩართულად, თუ მასთან გაფორმდება ხელშეკრულება, გაიხსნება სახელობითი საპენსიო ანგარიში და მის ანგარიშზე საპენსიო შენატანები განხორციელდება „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, საპენსიო სქემის პირობებისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხელშეკრულების საფუძველზე.

10.4. საპენსიო უზრუნველყოფის ხელშეკრულება ფორმდება მონაწილესა და დამსაქმებელს (მეანაბრე და დამფუძნებელი) შორის შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულებისგან განცალკევებული ხელშეკრულებითა და მონაწილის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე, რომელშიც განისაზღვრება არჩეული პენსიის სახე.

10.5. განაცხადში უნდა მიეთითოს:

10.5.1. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;

10.5.2. პირადობის მოწმობის რეკვიზიტები;

10.5.3. პენსიის სახე;

10.5.4. საპენსიო სქემაში მონაწილეობის კანდიდატის ასაკი, სქესი და პროფესია;

10.5.5. აქტივების მართვის სასურველი დივერსიფიკაციის დონე;

10.5.6. სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დამფუძნებლის აზრით, აუცილებელია ან მიზანშეწონილია სქემაში მონაწილეობისათვის.

10.6. ამ მუხლით განსაზღვრული განცხადების ფორმა შემუშავებული იქნება დამფუძნებლის მიერ.

10.7. დამფუძნებლის და მონაწილის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა წინამდებარე საპენსიო სქემის წესის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 11. საპენსიო შენატანები და მათი გადახდის წესი

11.1. საპენსიო შენატანების გადახდა ხორციელდება დამფუძნებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, რომლის რეკვიზიტებიც განისაზღვრება ხელშეკრულებით. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში დამფუძნებელი ვალდებულია აცნობოს ამის თაობაზე თითოეულ მეანაბრეს ინდივიდუალურად ან საჯარო განცხადების გზით.

11.2. საპენსიო შენატანები ხორციელდება დამსაქმებლის და მონაწილის მიერ, მონაწილის სახელობით საპენსიო ანგარიშზე ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე.

11.3. საპენსიო შენატანების გადახდა მეანაბრის მიერ ხორციელდება ყოველთვიურად.

11.4. შენატანის გადახდის ვალუტად მიიღება ეროვნული ვალუტა.

11.5. დამფუძნებელი ვალდებულია, გასცეს პენსია ეროვნული ვალუტით.

11.6. ანგარიშზე თანხების აკუმულირება ხდება ეროვნული ვალუტით, წინამდებარე საპენსიო სქემის წესითა და კანონით დადგენილი წესების ფარგლებში.

11.7. დამფუძლებელი არ არის პასუხისმგებელი იმ მატერიალურ ზიანზე, ან წინამდებარე სქემით გათვალისწინებულ არასახელმწიფო საპენსიო სქემით მისაღებ სარგებელზე, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მონაწილის მიერ საპენსიო შენატანის გადაუხდელობასთან ან მის დაგვიანებით გადახდასთან.

11.8. დამფუძნებლი, როგორც მეანაბრე, წინამდებარე სქემის წესითა და მონაწილესათან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანების გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში ვალდებულია აანაზღაუროს მატერიალური ზიანი გადაუხდელობის პერიოდში შენატანების შესაძლო საინვესტიციო მოგების მიუღებელი თანხების ოდენობით.

მუხლი 12. საპენსიო დანაგროვის ფონდი

12.1. საპენსიო დანაგროვის ფონდი არის დამფუძნებლის მიერ თავისი მონაწილის სასარგებლოდ ფორმირებული სახსრები, რომლებიც იქმნება მეანაბრეთა საპენსიო შენატანებისა და საპენსიო დანაგროვის შესაბამისი აქტივების მართვის (საინვესტიციო საქმიანობის) შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის გათვალისწინებით.

12.2. საპენსიო დანაგროვის ფორმირება სახელობით საპენსიო ანგარიშზე ხორციელდება განხორციელებული შენატანებისა და აქტივების მართვის საფუძველზე მიღებული საინვესტიციო მოგების ან ზარალის გათვალისწინებით.

12.3. მუდმივი პენსიების გაცემის მიზნით დამფუძნებელი აქტუარული გაანგარიშებების საფუძველზე ქმნის მუდმივი პენსიების გასაცემ ფონდს, რომელშიც ჩაირიცხება მონაწილის საპენსიო დანაგროვის გაანგარიშებული ოდენობის თანხები პენსიის გაცემის დაწყების წინ, უკანასკნელი კვარტლის მონაცემების მიხედვით.

12.4. დამფუძნებლის მიერ მონაწილისათვის გასაცემი პენსიის ოდენობა დაანგარიშდება საპენსიო დანაგროვის ფონდიდან, რომელიც შეადგენს მეანაბრის მიერ განხორციელებული შენატანების და დანაგროვის მართვის შედეგად მიღებული საინვესტიციო შემოსავლების ჯამს, რომელსაც გამოაკლდება 12.8 პუნქტით განსაზღვრული ხარჯები.

12.5. საანგარიშო პერიოდში საპენსიო სქემის აქტივების მართვის შედეგები

პროპორციულად გადანაწილდება საპენსიო სქემის თითოეულ მონაწილეზე საპენსიო სქემის წესში განსაზღვრული საინვესტიციო მოგების განაწილების წესის შესაბამისად, მონაწილის მიერ განაცხადში მითითებული აქტივების მართვის სასურველი დივერსიფიკაციის დონის გათვალისწინებით.

12.6. 12.5 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ პირზე რომლებმაც მიღაწიეს საპენსიო ასაკს.

12.7. საპენსიო შენატანები პირდაპირ აღირიცხება მონაწილის სახელობით საპენსიო ანგარიშზე, რასაც დაემატება დანაგროვის მართვით მიღებული საინვესტიციო შემოსავალი, წინამდებარე სქემის წესით და შესაბამისი ხელშკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

12.8. ფონდის ფორმირებისას გასაცემი პენსიის დანაგროვის დაჯამება მოხდება იმის გათვალისწინებით, რაც 12.4 მუხლით განსაზღვრულ ფონდში არსებული სახსრებიდან პროპორციულად დაიფარება შემდეგი ხარჯები:

12.8.1. აქტივების მართვის პროცესში, აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარის, საბროკერო და საბანკო, მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, რომლთა მაქსიმალური ზღვარი წარმოდგენილია წინამდებარე საპენსიო სქემის დანართ №1-ში და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის საფუძველზე აისახება საპენსიო სქემის ფინანსურ ანგარიშში;

12.8.2. მონაწილისათვის (მემკვიდრეებისათვის) ნაწილობრივ გაცემული თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

12.8.3. აქტივების მართვის პროცესში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და დაქვითვები, რომლებიც აისახება საპენსიო სქემის ფინანსურ ანგარიშგებაში;

12.8.4. საპენსიო სქემის აქტივების სავალუტო გადაფასებიდან მიღებული ზარალი, მისი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 13. საპენსიო დანაგროვის ინვესტირება

13.1. საპენსიო დანაგროვის ინვესტირება ხორციელდება საპენსიო სქემის მონაწილესთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

13.2. საპენსიო დანაგროვის ინვესტირებას დამფუძნებელი ახორციელებს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის, წინამდებარე საპენსიო სქემის წესების და დამსაქმებელსა და მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით;

13.3. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ჩანაწერს საპენსიო დანაგროვის ინვესტირების მიმართულებებისა და საპენსიო სქემის ფინანსური შედეგების ამ დანაგროვის ოდენობაზე ასახვის პირობების შესახებ;

13.4. საპენსიო სქემის წესისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, დამფუძნებელი აქტივების ინვესტირებას ახორციელებს თავის მიერ შერჩეული ერთი ან რამდენიმე აქტივების მმართველი კომპანიის მეშვეობით;

13.5. აქტივების მმართველ კომპანიას სქემის ფარგლებში დაგროვებული აქტივები გადაეცემა ფულადი სახით;

13.6. აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია აქტივების მართვის პროცესში საპენსიო დანაგროვების ინვესტირება განახორციელოს მხოლოდ სპეციალიზებული დეპოზიტარის მეშვეობით;

13.7. ყოველი მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის, სქემის აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო მოგება ექვემდებარება განაწილებას საპენსიო სქემის მონაწილეთა სახელობით ანგარიშებზე საპენსიო სქემაში განსაზღვრული საინვესტიციო მოგების განაწილების წესის შესაბამისად (იხ. მუხლი 14);

13.8. აქტივების მმართველ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მისი გაუქმების შესაძლებლობას იმ შემთხვევისათვის, თუ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ განხორციელებული საპენსიო დანაგროვის ინვესტირების შედეგად მიღებული საინვესტიციო მოგება ვერ უზრუნველყოფს სქემის ფინანსურ ეფექტიანობას, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას;

13.9. 13.8 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის საკითხის გადასაწყვეტად დამფუძნებელი ყოველწლიურად ახდენს სქემის საქმიანობის, მისი რენტაბელობისა და ეფექტურობის, შემლებისდაგვარად ყოველმხრივ შეფასებას.

მუსლი 14. საინვესტიციო მოგების განაწილების წესი

14.1. საპენსიო სქემის აქტივების მართვიდან მიღებული საინვესტიციო მოგების განაწილება სქემის მონაწილეების სახელობით ანგარიშებზე ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით.

14.2. წინამდებარე საპენსიო სქემის წესით საანგარიშო პერიოდად განისაზღვრება კალენდარული კვარტალი.

14.3. საინვესტიციო მოგების მონაწილეთა სახელობით ანგარიშებზე განაწილება ხდება შემდეგი პრინციპით:

14.3.1. დამფუძნებელი ყოველდღიურად განსაზღვრავს საპენსიო სქემის აქტივების მიმდინარე საბაზრო ღირებულებას:

14.3.2. სქემის აქტივების მიმდინარე საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, დამფუძნებელი ყოველდღიურად ადგენს ერთეულოვანი საპენსიო შენატანის (პაის) ღირებულებას შემდეგი ფორმულით:

$$V_k = V_F/S_k,$$

სადაც V_k - პაის მიმდინარე ღირებულება, V_F - საპენსიო ფონდის აქტივების მიმდინარე ღირებულება, ხოლო S_k - მონაწილეების კუთვნილი პაების ჯამური რაოდენობა;

14.3.3. მეანაბრის მიერ სქემის მონაწილის სასარგებლოდ ყოველი საპენსიო შენატანის განხორციელებისას, შენატანის თანხასთან ერთად, მონაწილის სახელობით ანგარიშზე ფიქსირდება მონაწილის კუთვნილი პაების (ერთეულოვანი შენატანების) რაოდენობა, რომელიც დაანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$k = P/V_k,$$

სადაც k - მონაწილის ანგარიშზე დასარიცხი პაების რაოდენობა, P საპენსიო შენატანის ოდენობა, ხოლო V_k - პაის მიმდინარე ღირებულება;

14.3.4. საინვესტიციო მოგების განაწილებისას, თითოეულ მონაწილეს სახელობით ანგარიშზე დაერიცხება თანხა, რომელიც ტოლია:

$$R = k_i \times V_k - (F + S_p),$$

სადაც, R - სახელობით ანგარიშზე დასარიცხი თანხა, k_i - სქემის კონკრეტული მონაწილის კუთვნილი პაების რაოდენობა, V_k - პაის მომდინარე ღირებულება, F - საანგარიშო პერიოდის დასაწყისში სქემის მონაწილის სახელობით ანგარიშზე რიცხული თანხა, ხოლო S_p - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სქემის მონაწილის სახელით გადახდილი საპენსიო შენატანების ჯამი.

მუხლი 15. საპენსიო ასაკისა და პენსიის ოდენობის განსაზღვრის პირობები

15.1. პენსიის გაცემის პირობა არის საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევა;

15.2. საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია გადაავადოს პენსიის მიღების თარიღი მის მიერ დამფუძნებლის სახელზე შეტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე;

15.3. დამფუძნებელი უზრუნველყოფს პენსიის გაცემის დაწყებას მონაწილის მიერ შესაბამისი განცხადებითა და კანონმდებლობით, საპენსიო სქემის წესითა და ხელშეკრულებით დადგენილი დოკუმენტაციის დამფუძნებლისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

15.4. გასაცემი პენსიის ოდენობა განისაზღვრება მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და წინამდებარე წესის პირობების საფუძველზე:

15.4.1. მუდმივი პენსიის[2] საბაზისო ოდენობა განისაზღვრება მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისათვის შემდეგ პარამეტრებზე დაყრდნობით:

- ✓ სახელობით საპენსიო ანგარიშზე აკუმულირებული თანხების ოდენობა;
- ✓ მონაწილის პენსიაზე გასვლის პერიოდისათვის აქტუარულ გამოთვლებში გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სტატისტიკური მაჩვენებლები მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ;
- ✓ მონაწილის ასაკი;
- ✓ მონაწილის სქესი;
- ✓ მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

15.4.2. განსაზრვრული ვადით გასაცემი პენსიის საბაზისო ოდენობა განისაზღვრება პენსიაზე მონაწილის გასვლის თარიღისათვის შემდეგ პარამეტრებზე დაყრდნობით:

- ✓ სახელობით საპენსიო ანგარიშზე აკუმულირებული თანხების ოდენობა;
- ✓ მონაწილის პენსიაზე გასვლის პერიოდისათვის აქტუარულ გამოთვლებში გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი;
- ✓ პენსიის ვადა.

[2] მუდმივი პენსიის არჩევის შემთხვევაში შპს „საქაერონავიგაცია“ უზრუნველყოფს აქტუარული გაანგარიშებების გაკეთებას

15.5. წინამდებარე საპენსიო სქემის წესის 15.3 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების არსებობისას პირველ ჯერად გასაცემი პენსიის ოდენობა განისაზღვრება პირად ანგარიშზე აკუმულირებული თანხების ოდენობის ფარგლებში, საპენსიო სქემის წესით, განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით;

15.6. აქტუარულ გამოთვლებში გამოსაყენებელი საპროცენტო განაკვეთი მტკიცდება „შპს საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად.

15.7. სქემის მონაწილის მიერ პენსიის მიღების დაწყების შემდეგ, საინვესტიციო შემოსავლების განაწილება და სახელობით საპენსიო ანგარიშზე მისი დარიცხვა ხდება წინამდებარე საპენსიო სქემის წესის მე-14-ე მუხლში განსაზღვრული წესის მიხედვით.

15.8. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდის საინვესტიციო მოგება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ, მინიმალურ საპროცენტო განაკვეთის შესაბამის მოგებას და შესაძლებელია სახელობით საპენსიო ანგარიშზე დადგენილ მინიმალურ პროცენტზე მეტის დარიცხვა, სხვაობა დადგენილ მინიმალურ საპროცენტო განაკვეთსა და რეალურად დასარიცხ/გასანაწილებელ თანხებს შორის დაირიცხება და გაიცემა პენსიაზე დანამატის სახით მომდევნო დარიცხვასთან ერთად.

მუხლი 16. პენსიის გაცემის პირობები

16.1. მონაწილეს პენსია მიეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული), განცხადების წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში ან/და საპენსიო ასაკის მიღწევამდე, თუ მან ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგა შრომის უნარი.

16.2. მონაწილეს უფლება აქვს გადაავადოს პენსიის მიღების დრო.

16.3. პენსიის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მონაწილის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, დამფუძნებლის მიერ შერჩეულ საბანკო დაწესებულებაში.

16.4. პენსიის სახის, ანგარიშსწორების წესის და სხვა პირობების შერჩევა, ან შერჩეული პირობების შეცვლა მონაწილის მიერ ხორციელდება მისი შეხედულებისამებრ - საპენსიო ასაკის მიღწევამდე არაუგვიანეს ერთი წლისა.

მუხლი 17. არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მონაწილის გასვლა

17.1. საპენსიო სქემიდან მონაწილის გასვლად ითვლება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, რის შედეგადაც წყდება საპენსიო სქემით განსაზღვრული ვალდებულებანი გამსვლელი მონაწილის მიმართ და იხურება გამსვლელი მონაწილის სახელობითი საპენსიო ანგარიში.

17.2. მონაწილის გასვლა დაუშვებელია საპენსიო სქემიდან დამფუძნებლის მიერ საპენსიო ვალდებულებების შესრულების ეტაპზე.

მუხლი 18. არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მონაწილის სხვა სქემაში გადასვლა

18.1. შპს „საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ მონაწილეს სხვა საპენსიო სქემაში გადასვლის უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში:

18.1.1. მონაწილის დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, საპენსიო ასაკის მიღწევისას ან ინვალიდობის დადგენისას;

18.1.2. დამსაქმებლის გაკოტრებისას.

18.2. მონაწილის სხვა საპენსიო სქემაში გადასვლის შემთხვევაში საპენსიო სქემის წესების შესაბამისად იხურება მონაწილის სახელობითი საპენსიო ანგარიში და დამფუძნებლის მოვალეობანი გადაეცემა იმ საპენსიო სქემის დამფუძნებელს, სადაც გადავიდა მონაწილე.

18.3. საპენსიო სქემის შეწყვეტისას მონაწილის სხვა საპენსიო სქემაში გადასვლა ხდება მონაწილის ინიციატივით (თანხმობით) და სხვა საპენსიო სქემის დამფუძნებელთან შეთანხმებით. დამფუძნებელი, რომლის სქემიდანაც გადადის მონაწილე, ვალდებულია, სხვა დამფუძნებელს, რომლის სქემაშიც გადადის მონაწილე, გადასცეს შემდეგი დოკუმენტები:

18.3.1. საპენსიო სქემის წესებისა და მონაწილესთან დადებული ხელშეკრულების, აგრეთვე ამ დოკუმენტებში შეტანილი ყველა ცვლილებისა და დამატების ასლები;

18.3.2. ანგარიში დარიცხული და გაცემული პენსიებისა და საპენსიო დანაგროვის ფორმირების შესახებ;

18.3.3. მონაწილის სახელობითი საპენსიო დანაგროვის დამადასტურებელი საბუთი ფულადი ფორმით გადაცემის დღისათვის.

მუხლი 19. საპენსიო სქემის მონაწილის სახელობით საპენსიო დანაგროვზე საკუთრების უფლების და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლება

19.1. საპენსიო სქემის მონაწილე ითვლება სახელობითი საპენსიო დანაგროვის გაანგარიშებული სიდიდის მესაკუთრედ, მუდმივი პენსიების გასაცემი დანაგროვის ფონდისათვის გადაცემული სახსრების გარდა.

19.2. მუდმივი პენსიის გაცემა წყდება მონაწილის გარდაცვალებისას და ამ პენსიაზე მემკვიდრეობის უფლება არ გადადის მემკვიდრეებზე.

19.3. განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია, საპენსიო უზრუნველყოფის ვადის დამთავრებამდე მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში გაიცემა მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ იმავე პირობებით, რომელთა შესაბამისადაც მიიღებდა პენსიას უშუალოდ მონაწილე.

19.4. მემკვიდრეებზე გაიცემა გარდაცვლილი მონაწილის სახელობით ანგარიშზე ამ უკანასკნელის გარდაცვალების მომენტისათვის აკუმულირებული თანხა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19.5. მემკვიდრეების ვინაობა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. საპენსიო სქემის დამფუძნებლის და მონაწილის სხვა უფლებები და მოვალეობები

20.1. საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია:

20.1.1. გახსნას ცალკე საბანკო ანგარიში არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის განსახორციელებლად;

20.1.2. საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს გაუხსნას სახელობითი საპენსიო ანგარიში, რომელზეც აწარმოებს საპენსიო შენატანების, საპენსიო დანაგროვებისა და გაცემული პენსიების აღრიცხვას;

20.1.3. საპენსიო დანაგროვის ინვესტირება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობი შესაბამისად შემუშავებული საინვესტიციო სტრატეგიის მიხედვით აქტივების მართველი კომპანიებთან და სპეციალიზებულ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

20.1.4. საპენსიო სქემაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები შეუთანხმოს შპს „საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ სამეთვალყურეო საბჭოს და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს თითოეულ მონაწილეს რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ასეთ შეტყობინებად ჩაითვლება მონაწილის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული ინფორმაცია ან დამფუძნებლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება;

20.1.5. დამფუძნებელი ვალდებულია საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს წელიწადში ერთხელ მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია მისი ინდივიდუალური ანგარიშის, საგადასახადო სისტემაში, აქტივების მმართველ კომპანიებსა და სპეციალიზებულ დეპოზიტარში მომხდარი ცვლილებებისა და დამფუძნებლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. ინფორმაცია ჩაითვლება მიღებულად მონაწილის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის ან დამფუძნებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში;

20.1.6. დამფუძნებელი ვალდებულია მის ლიკვიდაციამდე განახორციელოს შპს „საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე სქემის წესით შესაბამისად.

20.2. საპენსიო სქემის მონაწილის უფლება-მოვალეობები:

20.2.1. მონაწილეს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იქნეს არასახელმწიფო პენსიით წინამდებარე საპენსიო სქემისა და საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად. ეს უფლება არ შეიძლება იყოს გირავნობის საგანი და არ ექვემდებარება გასხვისებას.

20.2.2. წინამდებარე საპენსიო სქემის პირობების შესაბამისად გადაავადოს პენსიის მიღების დრო.

20.2.3. წინამდებარე საპენსიო სქემის პირობების შესაბამისად საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და საპენსიო სქემიდან გასვლისას მიიღოს სახელობითი საპენსიო დანაგროვი შეუმცირებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაწყებული არა აქვს მუდმივი სახის პენსიის მიღება.

20.2.4. მოითხოვოს დამუძნებლისაგან მისი სახელობითი საპენსიო ანგარიშის კონფიდენციალურობის დაცვა.

20.2.5. წინამდებარე საპენსიო სქემაში მონაწილეობა არ ზღუდავს მონაწილეს მიიღოს დამატებითი პენსია.

20.2.6. მონაწილე, ვალდებულია 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში აცნობოს დამფუძნებელს მისამართის ან რაიმე სხვა გარემოების ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს, დამფუძნებლის მიერ, მისი მოვალეობების შესრულებაზე, ასევე, დამფუძნებლის მიერ, ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობაზე.

მუხლი 21. საპენსიო სქემაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

21.1. წინამდებარე საპენსიო სქემაში, ისევე, როგორც მის დანართებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება (მათ შორის ცვლილება საკომისიო ანარიცხებში) ხორციელდება იგივე წესით, რაც განკუთვნილია საკუთრივ საპენსიო სქემისათვის. ცვლილება ძალაშია კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

21.2. წინამდებარე საპენსიო სქემის ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შპს „საქაერონავიგაციის არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით.

21.3. საპენსიო სქემაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეგზავნება თითოეულ მონაწილეს რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღისა.

მუხლი 22. საპენსიო სქემის შეწყვეტა და თანმდევი შედეგები

22.1. საპენსიო სქემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

22.1.1. დამფუძნებლის მიერ ყველა მონაწილის მიმართ ვალდებულებათა სრული შესრულება, რის შედეგადაც წყდება ვალდებულება. ეს პირობა არსებობს, როდესაც შესრულებულია სქემით დამფუძნებელზე დაკისრებული ვალდებულებები და აღარ არსებობს პირი, რომლის მიმართაც დამფუძნებელს, სქემის წევრობიდან გამომდინარე, შესასრულებელი აქვს ვალდებულება;

22.1.2. დამფუძნებლის მიერ სქემის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ან სქემის დამფუძნებლის ფინანსური მდგომარეობის არამდგრადობა. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი ვალდებულია სქემის შეწყვეტის შესახებ აცნობოს თითოეულ მონაწილეს სქემის შეწყვეტამდე მინიმუმ 6 (ექვსი) თვით ადრე;

22.1.3. დამფუძნებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც უნდა დაადასტუროს სასამართლოს გადაწყვეტილებამ;

22.1.4. საპენსიო სქემის რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმება;

22.1.5. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

22.2. სქემის შეწყვეტის შემთხვევაში დამფუძნებელი ვალდებულია გასცეს მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე აკუმულირებული თანხა, ამ ანგარიშის შესაბამისი მონაწილის სასარგებლოდ წინამდებარე საპენსიო სქემით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

22.3. ამ მუხლით გათვალისწინებული თანხების გაცემისას დამფუძნებელს უფლება აქვს დაიტოვოს სქემის მართვასთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯი წინამდებარე საპენსიო სქემის და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მუხლი 23. საპენსიო სქემის მონაწილის ინფორმაციით უზრუნველყოფა

23.1. დამფუძნებელი ვალდებულია საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს წელიწადში ერთხელ წერილობით მიაწოდოს სქემის განხორციელების და შესრულების მიმდინარეობის ამსახველი ანგარიში. ამ ანგარიშში უნდა მოიპოვებოდეს ინფორმაცია საგადასახდო სისტემაში, აქტივების მმართველ კომპანიასა და სპეციალიზებულ დეპოზიტარში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, აგრეთვე დამფუძნებლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგების თაობაზე.

23.2. დამფუძნებელმა ყველა მონაწილეს გონივრულ ვადებში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ ცვლილების თაობაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სქემის განხორციელებისა და შესრულების პროცესზე.

23.3. საპენსიო სქემის წესი და საანგარიშო საბუთები არ ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს გარდა მონაწილეთა ანგარიშების შესახებ ინფორმაციისა.

დანართი 1 საკომისიო ანარიცხები

№	საკომისიოს სახეობა	საკომისიოს ტარიფი	გადახდის წესი
1.	აქტივების მართვის საკომისიო (აქტივების მმართველი კომპანიის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, საბროკერო და საბანკო მომსახურებისათვის)	მართვის ქვეშ მყოფი აქტივების საშუალო წლიური ღირებულების არაუმეტეს წლიური 2%-ისა	ჩამოიჭრება მონაწილის სახელობითი ანგარიშიდან ყოველ საანგარიშო თარიღში (კვარტლის ბოლო სამუშაო დღე) პროპორციულად
2	საინვესტიციო მოგების საკომისიო (აქტივების მმართველ კომპანიაზე გასაცემი)	საინვესტიციო მოგების არაუმეტეს 20%-ისა	ჩამოიჭრება მონაწილის სახელობითი ანგარიშიდან ყოველ საანგარიშო თარიღში (კვარტლის ბოლო სამუშაო დღე) საინვესტიციო მოგებიდან